ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1606552

ნომერი: AR1264424

თარიღი : 09.11.2014

გაცემის თარიღი : 21.11.2014

გაცნობის თარიღი : 24.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ; ქალაქი თბილისი , გამზირი ქ. წამებულის , N71 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბექა ჩიქობავა პ/ნ 01030051627
- თბილისი გ.ჩიტაიას ქ. N 35

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის მოწყობის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ქ. წამებულის ქუჩა, N71, შპს „მერილიონი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვს. N 005/025 და N 005/024), I კლასის ღობის მოწყობას.

პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები თავისიმახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტებს, რომლის მშენებლობა არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტეტქურის სამსახური”.

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ” საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (შპს „მერილიონი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების საკადასტრო კოდი N 01.17.12.005.024, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან N 882014350610 09/07/2014წ., N 01.17.12.005.025, N 882014350599 07/07/2014წ. ასევე წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათი და ფოტომონტაჟი, სიტუაციური გეგმა) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ისანი, ქ. წამებულის ქუჩა, N71, შპს „მერილიონი“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე (ნაკვს. N 005/025 და N 005/024), I კლასის ღობის მოწყობის შესაძლებლობას.

საპროექტო ღობე განთავსდეს (შპს „მერილიონი“–ს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების (ს. კ. N 01.17.12.005.024 და N 01.17.12.005.025) საკადასტრო საზღვრებში, მიწის ნაკვეთებზე არსებული სერვიტუტისგან თავისუფალ ადგილას.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge